საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობალაძე იური გიორგის ძე

კობალაძე იური გიორგის ძე (დ. 22. I. 1949, თბილისი), რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის გენერალ-მაიორი (1995), პუბლიცისტი, პროფესორი. დაამთავრა მოსკოვის საერთაშ. ურთიერთობების ინ-ტის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1972), 1977–84 მუშაობდა ლონდონში სახელმწ. ტელე-რადიო მიმომხილველად; 1984–91 – სახელმწ. უშიშროების კომიტეტის ცენტრ. აპარატში, საგარეო დაზვერვის პირველ მთავარ სამმართველოში. 1991–99 იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის პრესბიუროს უფროსი; 1999–2000 – ИТАР-ТАСС-ის გენ. დირექტორის პირველი მოადგილე; 2006-იდან – რადიოარხ ,,Эхо Москвы“-ზე გადაცემა ,,В круге света“-ს თანაწამყვანი; 2007–10 – კომპანია X5 Retail Group-ის აღმას. დირექტორი კორპორაციულ საკითხებში; 2010–12 – ამავე კომპანიის გამგეობის თავ-რის მრჩეველი; 2012-იდან – შვეიცარიის საინვესტიციო ბანკ UBS-ის კონსულტანტი. ამჟამად კ. საგარეო დაზვერვის სამსახურის გადამდგარი გენერალია. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით.

მ. გოგიტიძე